მორეტი და ბენედეტი იტალიის წინააღმდეგ

Moretti and Benedetti v. Italy

საჩივარი № 16318/07

2010 წლის 27 აპრილი

წინამდებარე საქმე ეხებოდა მიმღები ოჯახის ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლების დარღვევას. განმცხადებლები, ბ-ნი ლუიჯი მორეტი და მისი მეუღლე მარია ბრუნელა ბენედეტი, ცხოვრობდნენ თავიანთ ბიოლოგიურ შვილთან, ასევე მეორე შვილთან ერთად, რომელიც ქ-მა ბენედეტიმ იშვილა. მომჩივნები პერიოდულად იღებდნენ ბავშვებს დროებითი მზრუნველობის ქვეშ, ვიდრე არ მოხდებოდა მათი გაშვილება სხვა ოჯახებში. 2004 წლის 20 მაისს, საგანგებო ბრძანებით, ახალდაბადებული ბავშვი (A.) მოათავსეს განმცხადებლებთან, როგორც მიმღებ ოჯახში, ხუთი თვით, თუმცა შემდგომ ეს პერიოდი გახანგრძლივდა 2005 წლის დეკემბრამდე. ამასობაში დაიწყო პროცედურები A.-ს გაშვილების მიზნით. 2004 წლის 24 ოქტომბერს მომჩივნებმა მიმართეს შესაბამის სამსახურს თხოვნით A.-ს შვილად აყვანის შესახებ. ვინაიდან არ მიიღეს პასუხი, 2005 წლის მარტში მათ განმეორებით მიმართეს ბავშვის შვილად აყვანის თხოვნით, თუმცა არც ამჯერად მიიღეს პასუხი. სასამართლოს გადაწყვეტილებით, 2005 წლის 19 დეკემბერს A. გაშვილდა სხვა ოჯახში. გადაწყვეტილების მიღების დღესვე A. წაიყვანეს მომჩივნების ოჯახიდან. მომჩივნებმა მიმართეს ეროვნულ სასამართლოს, რომელმაც არ დააკმაყოფილა მათი თხოვნა A.-ს შვილად აყვანის შესახებ იმ საფუძვლით, რომ ბავშვის გასაშვილებლად უკვე შეირჩა სხვა ოჯახი. იტალიის სააპელაციო სასამართლომ გააუქმა ეს გადაწყვეტილება დაუსაბუთებლობის გამო და მიუთითა, რომ ბ-ნი მორეტისა და ქ-ნი ბენედეტის განცხადებები ბავშვის შვილად აყვანის შესახებ უნდა ყოფილიყო განხილული, ვიდრე ბავშვს შეურჩევდნენ ახალ ოჯახს. საექსპერტო დასკვნის მიხედვით, რომელიც სააპელაციო სასამართლომ მოითხოვა, ბავშვს ჩამოუყალიბდა მიჯაჭვულობა ორივე ოჯახთან. 2006 წლის 27 ოქტომბერს სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ ბავშვის მოწყვეტა ახალ ოჯახს იყო რისკის შემცველი. ამ გადაწყვეტილებით შვილად აყვანის შესახებ ბრძანება გახდა საბოლოო. ევროპული სასამართლოს წინაშე მომჩივნები ამტკიცებდნენ, რომ იტალიის კანონმდებლობა და პროცედურული წესები არასწორად იყო გამოყენებული, რის გამოც დაირღვა მათი ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება.

ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ ოჯახური ცხოვრება არ შემოიფარგლება მხოლოდ ქორწინებაზე დაფუძნებულ ურთიერთობით და

შეიძლება, ასევე მოიცვას ფაქტობრივი ოჯახური კავშირები. სასამართლომ ხაზი გაუსვა, რომ ასეთი ურთიერთობის ოჯახური ბუნების განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული მრავალი ფაქტორი, როგორებიცაა: ამ ადამიანთა ერთად ცხოვრების დროის ხანგრძლივობა, მათი ურთიერთობის ხარისხი და ზრდასრულის როლი ბავშვის მიმართ. ევროპულმა სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ ბავშვისათვის მნიშვნელოვან ეტაპზე მომჩივნები A.-სთან ერთად ცხოვრობდნენ 19 თვის განმავლობაში და რომ იგი იყო მომჩივანთა ოჯახში კარგად ინტეგრირებული, რამაც ხელი შეუწყო მის სოციალურ განვითარებას. მოსარჩელეებსა და ბავშვს შორის დამყარებული კავშირების სიმტკიცის გათვალისწინებით, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა, რომ ჩამოყალიბებული ურთიერთობა შეადგენდა ოჯახურ ცხოვრებას, რის გამოც უნდა ყოფილიყო უზრუნველყოფილი მე-8 მუხლით გათვალისწინებული გარანტიები.

მართალია, კონვენციის მე-8 მუხლი არ უზრუნველყოფს შვილად აყვანის უფლებას, მაგრამ არ უარყოფს სახელმწიფოს ვალდებულებას, ოჯახურ კავშირებს მისცეს ჩამოყალიბების საშუალება. ამ საქმეში უმნიშვნელოვანესი იყო ის, რომ მომჩივნების თხოვნა შვილად აყვანის შესახებ განხილული ყოფილიყო გულმოდგინედ და სწრაფად. ევროპულმა სასამართლომ დაადასტურა, რომ ოჯახურ ცხოვრებასთან დაკავშირებით ხანგრძლივი დროის გასვლას შეიძლება ჰქონდეს გამოუსწორებელი შედეგები. როგორც სასამართლომ მიუთითა, სამწუხარო იყო ის, რომ მომჩივნების თხოვნა შვილად აყვანის შესახებ არ იყო განხილული, ვიდრე ბავშვს არ გააშვილებდნენ სხვა ოჯახში და რომ ამ თხოვნაზე მომჩივნებს უარი უთხრეს დასაბუთების გარეშე. იმ ხარვეზების გათვალისწინებით, რომლებმაც პირდაპირი გავლენა მოახდინა მომჩივანთა ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაზე, ევროპული სასამართლოს აზრით, მოპასუხე სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ამ უფლების ეფექტიანი დაცვა.

აქედან გამომდინარე, ევროპულმა სასამართლომ დაადგინა მე-8 მუხლის დარღვევა.